№ 160. 27 ივლისი, კვირა. 1866—1880 27 ივლისი, კვირა № 160.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა.

რედაქცია

ბეგლარის-ქუჩაზე, ბოდანოვის-ბაღის ოთახში მარცხნივ ო. ლუკარევის ბინაში, № 2.

ხელის-მოწერა

„დროება" „დროებისა" „ივერიის" რედაქციაში. გარეთ ფოსტებითვე: Въ Тифлисъ, въ редакціи „Дроэба" „Иверіи"

„დროება"-„ივერიის" ფასი

		წელიწადში.	6 თვეს.	3 თვეს
ცალკე	„დროებისა" „ივერიისა" ერთად.	13 მან.	7 მან.	4 მ.
	„დროებისა"	9 მან.	5 მან.	3 მ.
	„ივერიისა"	6 მან.	4 მან.	2 მ.

ცალკე ნომერი, „დროებისა" ღირს 5 კაპ. „ივერიისა" 2 მან.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით რიგზეთ ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე შეადგენდა კაპ.

თუ ხანგრძლივობა მოითხოვს, რედაქცია ანგარიშობს და შეკრულებს დანარჩენ ანგარიშგაწეულ წერილებს. დანარჩენ ბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტაზეთ კერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სტამბის გადატანის გამო. სამშაბათს 29 ივლისს, გაზეთი ვერ გამოვა.

ივლისიდამ წლის დამლევამდინ

დროება

ღირს ხუთი მანეთი

ივერია

ოთხი მანეთი

„დროება" და „ივერია" ერთად

შვიდი მანეთი

ტელეგრამები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

სტამბოლი, 25 ივლისს მითჭვალფაშა სმირნაში დაინიშნა დუბერნატორად; იქაური დუბერნატორი ჭამდიფაშა სირიაში გადიყვანეს იმავ ადგილებზედ.

„ახალი დროება" გვატყობინებს, შეტრბუზდში აღმოჩენილა ორი საიდუმლო სტამბების პოლიტიკური საქმე სეკტემბრის ადრე არ განიხილებაო.

ჩხარის საზოგადოების მაგალითი

ტფილისი, 26 ივლისს.

სამმა ისეთ საქმემ ჩაიდგა საძირკველი ჩვენს სოფლებში, ამ ათის წლის წინათ, რომელთაც, მართალია, ყოვლად გამკურნებელი ძალა არა აქვთ, მაგრამ ამათ დაარსებას, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა აქვს და შემდეგშიაც ექნება ჩვენის ხალხის წარმატებასა და კეთილ-დღეობაში.

ჩვენ ვამბობთ: სოფლის სკოლაზე, გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობაზე და საზოგადო პურის მალაზიაზედ.

ეს სამი საზოგადო საქმე პირველად მარჯვედ და მხნედ წავიდა: თფილისის და ქუთაისის გუბერნიაში თითქმის ვერ ნახავდით ისეთს სოფლის საზოგადოებას, რომ სკოლისა და მალაზიის გამართვის განჩინება არ შეედგინათ და არ გაეხსნათ კიდეც ერთიცა და მეორეც.

მაგრამ სამი-ოთხი წლის შემდეგ, საუბედუროთ, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, ხალხმა სკოლაზედ გული აიცრუა, თავის შვილებს აღარ გზავნიდა იქ და ფულსაც ძალა-უნებურად იხდიდა. ბოლოს მომეტებული ნაწილი სკოლებისა (განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში) დაჰკეტეს; ამგვარივე ბედი ეწვია პურისა და სიმინდის საზოგადო მალაზიებსაც, რომელთაგან ამ ჟამად ჩვენში ათში ერთიც აღარ მოქმედობს. ისმის საჩივარი და უკმაყოფილება აგრეთვე სასოფლო ბანკებზედაც, რომ კარგათ ვერ მიდის ამათი საქმეებიო, რიგიანი გამგებლები არა გვყვანანო (სხვათა შორის, ამგვარი საჩივარი ამდღეებში ქარდანახისა და ჯიხაიშის სოფლის ბანკებზედ იყო ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი) და სხვ.

ამ ნაირად ამ ჩვენს სამს საზოგადო საქმეში, რომელშიაც სოფლის ხალხის თვით-მოქმედება უნდა გამოსახულიყო, ეს თვით-მოქმედება ერთობ სუსტად და უენერგიოდ გამოიხატა. ჩვენი სოფლის სკოლები, ბანკები და მალაზიები თან-და-თან ეცემიან, წარმატების მაგივრ, უკან ბიდიან.

სკოლების დაცემისა და დახურვის მიზეზები არა-ერთხელ იყო ჩვენს გაზეთში მოყვანილი: უმთავრესი ამ მიზეზთაგანი, უეჭველია, ..ის არის, რომ სოფლის გლეხი მოტყუებული შეიქნა სკოლისაგან, იმდენ სარგებლობას ვერ ჰხედავს იმაში, რამდენსაც მოელოდა, იმის შვილისაგან რუსული ლოცვებისა და ლექსების უაზროთ გაზეპირებამ ვერ დააკმაყოფილა, და გადაწყვიტა, რომ სკოლა ჩვენ არ გამოგვადგებაო.

რაიცა შეეხება სასოფლო ბანკებსა და საზოგადო მალაზიებს, აქ კი, ამათი დაცემის მიზეზი, უეჭველია, მარტო ის იყო, რომ მცოდნე და პატიოსანი კაცები არა ჰყავდათ სოფელს, რომელთათვისაც ამათი გამგეობა ამიებარებინა, რომელთაც ეს საქმე კეთილსინიდისიანათ და გონიერად ეწარმოებინათ. ბამგებლებმა ვერ მოახერხეს ანგარიშების წაყვანა, დავთრების გაძღოლა; ზოგმა საზოგადო ბანკიდამ და მალაზიიდამ თავის ჯიბისა და მუცლის გატენა მოინდომა და ამნაირად კარგათ და ხალისიანად დაწყებული სამქმე დაიფუშა და იფუშება.

ამ შემთხვევაში, ჩვენის აზრით, ყურადღებაში მისაღებია ის განჩინება, რომელიც ზემო-იმერეთის ერთს სოფელს — ჩხარს — დაუდგენია სოფლის სკოლისა და ბანკის შესახებ, განჩინება, რომელიც „დროების" მე-152 ნომერში იყო მოყვანილი.

ჩხარის სოფლის საზოგადოებას მიუღია მხედველობაში, რომ რაც უფრო ბევრი წევრები და მამასადამე, მომეტებული შემოსავალი ექმნება ამ

ფელეტონი

დუდუკი

„ბზიკი"

სადილს შემდეგ საკითხავი გაზეთი.

ბამოდის ყოველ დღე ორშაბათის, სამშაბათის, ოთხშაბათის, ხუთშაბათის, პარასკევის, შაბათის და კვირის გარდა.

ხელის მოწერა მიიღება შეითანბაზარში და ᲐᲨᲞᲐᲨᲮᲐᲜᲐᲨᲘ, ბ. ჩაჭყაპეს კანტორაში.

ფასი გაზეთისა—თავიდან ბოლომდის ყურადღებით წაკითხვა ყველა ნომრისა.

ბარეშე პირთ შეუძლიანთ დაიბარონ ამ ადრესით: **Въ Ашпашхани, г. редактору „Бзики" Чачкапе.**

რედაქტორი და გამომცემელი
ჩაჭყაპე.

წარდგომა ჩაჭყაპესი

(მოწინავე სტატია, შეიძლება კორრესპონდენციათ მიიღოთ).

ალახვენით ბჭენი თქვენნი, მწერალნო, და ალახვენით ბჭენი რედაქციისანი, და შევიდეს მეუფე „მცარცველობისა"!.. ვინა არს ესე მეუფე „მცარცველობისა"?—ვინმე „ბლალოჩინი", რომელიც დამკვიდრებულ არს, შეწევნითა სხვა-და-სხვა თვალთ-მაქცობისათა, საფარველსა ყოვლადუსამღვდელოესისა და თავისუფლათ განაგებს!..

ჰოი! თუ ვითარ საკვირველ არიან საქმენი შენნი, მამაო ბლალოჩინო!.. უფრო საკვირველი ის არს, რომ, როგორც ოჯახში გაწუწკებული ციკანი დანას გაუგორდება და დასაკვლელათ ყელს გადუგდებს ხოლმე, ისე ეს „ბლალოჩინი" წამ-და-უწუმ გამოეჭიმება ასპარეზზე „ბზიკის" რედაქციას; სწორეთ რომ კაცს [illegible] ... უვარდება! მოდი და ხელს ნ[illegible]ასვამ!..

დაატყავა, ბატონო, ჩვენი საწყალი მღვდელ-მთავარ-დიაჩოქები!.. ᲨᲔᲚᲐ შეატყობს, რომ ნაარმი ლუკმა უჭამიაო! ᲔᲠᲗᲘ რაღაც რამ უზარმაზარი, გასივებული! ᲠᲝᲪᲐ გზაზედ მოდის, გეგონებათ, შვიდ საპალნიანი ქვევრი მოგორავესო! მერე რა სუქანი, რომ იცოდეთ? ᲠᲝᲛ არ შემრცხვეს და მართალი ვსთქვა, სწორეთ 15 ფუთი ქონი ამოუვა! ნეტავი ერთ საწყალ მესაპნეს მაინც აჩუქა!..

აი დიდება შენთვის, ღმერთო! ასე უცნაურათ რამ გაასუქა?!. რაღა რამ გაასუქა, სადაც მღვდლები და დიაჩოქები დედლებს და ყვერულებს საგანგებოთ ასუქებენ, სულ ესა სჭამს; მოდი და ნუ გასუქდება!.. ᲗᲥᲕᲔᲜ უნდა ნახოთ, დღესასწაულებში ამას რომ ძღვნები მოუვა ხოლმე. ᲐᲛ ხორაგეულით შეიძლება სამი დუქანი გაჩაღდეს: მიკიტნისა, ყასბისა და მეპურისა; აგრეთვე ერთი კარგა ფულით გატენილი „ზარაფის გალია" დაიდგმის!..

ᲐᲮᲚᲐ არ იკითხავთ რაო? ᲠᲐ მქვიანო?—„ბლალოჩინი" მქვიანო და ისაო, რომ ჯილდოებზედ წარდგენა და მალალი ხარისხის მიცემა სამღვდელო პირთა ჩემი ნემა არისო! ᲒᲐᲘᲒᲔᲗ, თუ არა?.. ᲕᲘᲜᲪ ღარიბია და არაფრის მირთმევა არ შეუძლიან, იმას?—ᲘᲛᲐᲡ, ამბობს „ბლალოჩინი" ისაო... ჩვენ რომ ვიცითო!! ᲣᲰᲣ! ძალიან მოწყალე ყოფილა! ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ნუ მოაკლოს ამ გვარი ნუგეში!!.

მოდი ეხლა და მისდიე შენ ამას! მგონია, ამის გამგონი მამა Ი. ᲨᲘᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ სირცხვილით სულ ჩაიფუფქა! ᲐᲮ! სად არის ეხლა, რომ მოხსენებულ „ბლალოჩინს" მუჯლუგუნს არ წაჰკრავს — რაზედ გვარცხვენ, შეოჯახ-დაქცეულოვო!.. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ვერც გულის აღმძვრელი ქადაგება „ჩვენი ღვდლების პატიოსნობაზე" მამა Ი. ᲨᲘᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ შესძრავს ამ ქვეყანაში ფესვებ გადგმულ „ბლალოჩინს"!.. ᲑᲣᲠᲗᲘ აქვს და მოედანი, ვის რა დავა გაქვთ?! ᲡᲐᲘᲗᲐᲪ კოჭს გადააგდებს, სულ „ალჩუ" უზის, ვის რას შეეპოვება!..

ᲐᲮᲚᲐ ისიც გაიგეთ, ამ ბოლოს დროს რა დებულება გამოუგონია ბლალოჩინს, რომლის ძალითაც შესაძლოა ჩვენი ღვდლებისთვის ძალიან ადვილად ჯილდოების მიღება: ვისაც სურს პირველი ჯილდოს მიღება, იმან ბლალოჩინს ხუთი თუმანი თეთრი ფული უნდა წარუდგინოს; მეორესი—ათი თუმანი, და შემდეგი თან-და-თან ზევით! ᲫᲘᲓᲔᲕ: ვისაც ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასვლა უნდა, იმან ბლალოჩინს უნდა მიართვას (პაკეთით) თორმეტი თუმანი და სხვა ამ გვარი განკარგულებანი!! ᲜᲔᲢᲐᲕᲘ ვიცოდე, ამაზედ რაღას ბრძანებს პატივცემული მამა Ი. ᲨᲘᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ!

ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ეს არის, რომ საცოდავი ზოგიერთი მღვდლები ტყავებს იძრობენ, რომ ეს „მგელ-კაცა" დავკმაყოფილოთო, მაგრამ მაინც იმის ყურადღებას ვერ იქცევენ! ᲣᲚᲛᲝᲑᲔᲚᲘ ბედი არ ულიმისთ!.. ᲰᲠᲘᲩᲘᲢᲜᲘᲙᲔᲑᲘ ხომ სახსენებელი აღარ არიან! ᲐᲑᲐ საცოდავები ოც გირვანქიანი შაქრის თავებით რას იშოვიან?! მოდიან „ბლალოჩინისკენ" დალონებულ-დაძმარებულები და ხვნეშით მოათრევენ შაქრის თავებს! ᲓᲐᲔᲚᲠᲘᲯᲔᲑᲘᲐᲜ ბლალოჩინს და დაუწყებენ ხვეწნას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარ საზოგადო საქმეს, მით უფრო კარგათ და წარმატებით იწარმოებს ეს საქმეო, და ამის გამო გარდაუწყვეტია, რამდენსამე ახლო-მახლო გარშემო მყოფ სოფლების გლეხებსა და აზნაურებსაც წინადადება მისცენ, შკოლისა და ბანკის დაარსებაში იმათაც მიიღონ მონაწილეობა.

მოსაწონია ეს აზრი; მოსაწონია იმიტომ, რომ რამდენათაც ჩვენ ვიცით, მომეტებულ ნაწილს ჩვენს სოფლებში შკოლა, ბანკი და მაღაზია ვერ ხეირობს თითქმის მხოლოთ იმ მიზეზით, როგორც ზევითაც ვსთქვით, რომ ღონის-ძიების, ფულის ნაკლებობის გამო, იმისთანა პატიოსანი, თავიანი მცოდნე კაცები იშვიათად მოიპოვებიან ჩვენს სოფლებში, რომელთაც ამ საქმეების წაყვანა შეეძლოსთ. ერთს სოფელს, თუ ძალიან დიდი სოფელი არ არის, არ შეუძლიან მარტო თავის ხარჯით ამ გვარი კაცების შოვნა. რამდენსამე შეერთებულს სოფელს კი არაფერი არ გაუჭირდება; თუ იმათში არ მოიპოვება ამისთანა კაცი, სხვაგან მონახვენ, ფულით ყველაფერი მოხერხდება.

ბანსაკუთრებით კარგი გავლენა ექნება ამ გვარად რამდენიმე საზოგადოების შეერთებას შკოლის შესახებ: სწავლის ცუდი სისტემის გარდა, რომელიც დღემდინ აბრკოლებდა და აბრკოლებს ჩვენ სოფლის შკოლას, უეჭველია, რომ ამ საქმეში იმასაც დიდი მნიშვნელობა იქვს, რომ ამ ჟამად სოფლის მასწავლებლებს ცოტა ჯამაგირი ეძლევათ და ცოტა ჯამაგირით კარგი მასწავლებლის შოვნა ძნელია.

რასაკვირველია, საცა სოფლები ერთი მეორეზედ მოშორებით არიან, იქ შკოლისთვის ამ გვარი შეერთება ძნელად მოხერხდება, შაგირდები შორს ვერ ივლიან; მაგრამ განა ცოტაა ჩვენში ერთი მეორეზედ მიბმული სოფელი, რომელთაც ამ გვარი შეერთება და საერთო შკოლის გამართვა ხელს მისცემთ?

ამ ნაირად ჩვენის აზრით, აქაც, ამ შკოლის, ბანკის და მაღაზიის წაყვანაშიაც, როგორც საზოგადოთ თითქმის ყველაფერში, შეერთებულად, ძმურად საქმის წაყვანა ვეიშველის...

ახალი ამბები

—

რუსულ გაზეთს „ნოვოე ვრემიაში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი:

„შინაგან საქმეთა მინისტრის თაოსნობით, მთავრობა აპირებს ბეჭდვის შესახებ ახლანდელ კანონების გადახედვას. ამ დღეებში საბოლოოთ გადაწყდა, რომ მთავრობა მოსპობს ჟურნალ-გაზეთებისა და საზოგადოთ ბეჭდვის თაობაზედ ყველა შემაფერხებელ კანონებსა“.

* * *

იგივე რუსული გაზეთი გვაცნობებს, უზენაესს ბამგე კომიტეტში სჯა არის ამ ჟამად იმაზედაო, რომ ადმინისტრაციის უფროსის პირებს ჩამოერთვას უფლება „მესამე პუნქთის“ ხმარებისა, ე. ი. ამ კანონისა, რომლის ძალითაც უფროსს აქვს უფლება, რომ თავის ქვეშევრდომი განუკითხავათ გამორიცხოს სამსახურიდამ.

* * *

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ზოგიერთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად (სმოტრიტელად) კენჭისყრით ამორჩეული ახლად კურს-მესრულებული კიევის სა. აკადემიაში ა. ილურიძე უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორს არ დაუმტკიცებია ამ თანამდებობაში.

რამდენათაც ჩვენ გვგვიგია, ბ. ილურიძეს არც ერთი ისეთი გარემოება არ მიუძღვის წინ, რომელიც ამ თანამდებობის აღსრულებას უშლიდეს; პირ-იქით შეგვიტყვია: რომ ეს ერთი საუკეთესო, კარგი მომზადებული და „კეთილ-საიმედო“ ყმაწვილი კაცი არისო. ამიტომ გვიკვირს —რათ უნებებია სინოდის ობერ-პროკურორს იმის დაუმტკიცებლობა.

* * *

მ. ი. ლომაური: მოთავე თფილისის მეტეხის სატუსაღოს ბიბლიოთეკის დაარსებისა, გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ იმან მიიღო ამ ბიბლიოთეკისათვის 32 სასულიერო და ზნეობითი შინაარსის წიგნი პროტოიერის ბარნოვის-შვილის მღვდლის ა. ბარნოვისაგან. ამას გარდა ამ დღეებშივე მიუღია იმას ამ გვარი 30 წიგნი სოფ. ბეკამის მღვლის ა. ციკკიევისაგან.

* * *

ჩვენ გვითხრეს; რომ მეტეხის სატუსაღოს პატიმრებს ორი ხორო შეუდგენიათ—სამხედრო პატიმრებს ცალკე და სამოქალაქოს ცალკე—და კვირაში ოთხ-ჯერ გალობენ საეკლესიო გალობას მეტეხის ეკლესიაშიო.

* * *

ამ უკანასკნელ ხანებში რაღაც ერთ გვარი კალიები გამრავლდა საშინლად ქალაქში და განსაკუთრებით ღამე იმათგან მოსვენება არა აქვს კაცს: თუ სადმე სინათლე დაინახეს და კარები ან ფანჯარა ღიაა, შემოვარდებიან ისეთის ამბით, რომ ხალხს აფეთებენ.

ეს კალიები იმ კალიას არა გვანან, რომელიც ყანებს აფუჭებს; უფრო დიდები არიან და ჭრიჭინობენ კიდეცა; დედალი უფრთოა და საშინლად გამობერილი აქვს კვერცხებით მუცელი.

ამ კალიას გარდა, რაღაც პატარა შავ-შავი ჭიები გაჩნდნენ აგრეთვე ქალაქში, რომელიც გვარიანად იკბინება და თუ გაჭყლიტე, საძაგელ სუნს გამოუშვებს.

ესენიღა გვაკლდა ამ სიცხეში!..

* * *

სომხურ გაზეთს „მშაკში“ ნუხიდამ იწერებიან რომ ამ უკანასკნელ დროს ჩვენს ქალაქში პური თითქმის ერთი სამად გაიაფდაო; ადრე ჩანახი (3 ფუთი და 10 გირვ.) რვა ცხრა მანეთად ისყიდებოდა და ახლა კი 3 მან. და ათ შაურ ზევით აღარ გადისო.

* * *

ამავე გაზეთის სიტყვით, მარტყობისმხრისაკენ ბევრი ჩარჩები არიან ამ ჟამად და პურს ჰყიდულობენ კალოზედა გლეხებისაგანაო.

* * *

ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი წერილი:

„ბ. რედაქტორო თქვენს პატივცემულ გუშინდელ „დროებაში“ დაბეჭდილი იყო სტატია „შავი ჭია და იმის გაწყვეტა“. ამ სტატიაში თქვენ

„—მოჰყავ, მამაო ბლაღოჩინო, ყური შენი და ისმინე ჩემი, რამეთუ გლახაკ და დავრდომილ ვარიმე. მოიხილე ჩემზედა და შემიწყალე მე, მოეც ძალა მონასა შენსა და როგორმე ერთი მთავრობა აშოვნინე? შენ კი წარმადგინე არქიელთან და მერე იმან იცის, რამეთუ სიქადული ძალისა მისისა შენ ხარ და ნებითა შენითა ამაღლდეს რქა ჩვენი...“

რა შეზიდავს ბლაღოჩინი შაქრისთავებს, ჯერ ცოტა ჩაფიქრდება, მერე ეუბნება:

„—წარგადგენთ, დარწმუნებული იყავით, და ესეც იცოდე, რომ წყალობა ჩემი არავე განვაქარვო, არცა ვეცრუო ჭეშმარიტებასა ჩემსა, არც შევაგინო აღთქმა ჩემი. და რა იგი აღმოხდა ბაგეთა ჩემთა, არც შეურაცხეყო!“

ეს არის და ეს! ბათავდა საქმე! ბადის თვე, წელი და როგორც მე მაკურთხებინა ბლაღოჩინმა მთავრათ, ისე ეს დიაჩოქები!.: ერთი სიტყვით „შეაგინა აღთქმა თვისი“. ახლა ზოგიც დიაჩოქებს ჰკითხეთ, რამდენს იმას აგინებენ!..

მამა ი. შიუკაშვილი კი თავ-გამოდებით და ამაყათ გვიქადაგებს ჩვენებური მღვდლების პატიოსნობაზე! ის კი არ აცის, რომ ზემოხსენებულ ბლაღოჩინისთანები (ერთი და ორი კი არა) „დუჭინობით“ არიან!.. ამიტომ ამისთანაების გამოსარჩლება მ. ი. შიუკაშვილს არ არგებს!,. პატიოსან მღვდლებს ჩვენც კაცგათ ვიცნობთ და ვაფასებთ კიდეც!.. მაგრამ მაინც დეე ყველამ იცოდეს, რომ შუბი ტომარაში არ დაიმალება!..

(დასასრული „ბზიკის“ მეორე №-ში.

ტელეგრამები:

ვლადიკავკაზი, 13 (20) მკითხველს. სამი დღეა, ჰომშუას დედას საშინლად ასლოკინებს! ყოველი ღონისძიება ამაო გახდა! ეხლა მივმართეთ ქოდელ ნინოს.

ორთაჭალა, 12 (22) მკითხველს. ორთაჭალის „ვირის ხიდი“ წყალმა წაიღო და იმის ნაცვლად ჩამოვიდა „ბორის ხიდის“ ნაგლეჯი. ბორანსაც (პაროომი) ამ დღეებში მოელიან.

სოფელი, 13 მკითხველს. მირზუაშვილი იწერება: „მანდაურ ვაჭრებს უთხარით, გამოეშურონ; მარტო ვერა გაეხდი-რა, დიდი ფოდრატები არისო: ტარტაროზები რკინის გზას მართამენო. აგრეთვე აქაური პოლიცია ცეცხლის წაკიდებას სულ ვერ იგებსო: აქ კაცი ადვილად გამდიდრდებაო!“

წერილი რედაქტორისა.

ჩაჭყაპე-ჯან! ვაი, შენი ქრისტეს ჭირიმე! ბენაცვალე, ძმაო-ჯან, მაგ სულის კლიტეში, რომ გაზეთი მოიგონე და ჩვენისთანა საწყალი ბიჭის სევდას ქვეყანას ატყობინებ!..

ახლა გაიგე, ბიჭო-ჯან, და რას ვამბობ: ქაშუეთთან რომ „სახემწიფო ბალია“, იქ მოვდივარ. ისე რაღა, ჩემთვის მოვდივარ, მოვსეირნობ! ისე შავედი ბალში, რომ კარებში დესეტნიკი არ იდგა, თორემ არც კი შემიშვებდა!.. ეს იქით იყოს!.. მოვდივარ რაღა! ერთიც ვნახოთ, ჩვენი ოსება მოდის ღრეჭით!

—რა ამბავია?

ნიკოლასაგან დეპეში მამივიდა, მოდი წაგიკითხოვო.

დავდექით ბალში, ეკითხულობთ!.. მოვიდა ერთი დესეტნიკი— იმერელი და შიგ დეპეშში დაიწყო ცქერა. ვაი! ამას რაღა ნებავს! დადგა რაღა, აღარ მიდის! სწორეთ სისხლი ყელში მოვიდა! ვამბობ, ერთი ამას „ეშპეტიაშვილური“ გამოვდო ფერდში, ვაი თუ ერთი რამ მოხდეს, თუა არა და რას იცქირება?! ვეუბნები:

—რა გინდა, შვილო, ძმაო-ჯან? ვინა ხარ? სადაური ხარ? ვის დაეძებ? ბიცნობ, მიცნობ?! რას ჩამამცქერი?!

—პოლიცია ვარო!..

ერთი გავვიჭდი, ერთი გავგიჭდი, რომ სწორედ მგელს შავსჭამდი! ვეუბნები: გხედამ, რა ვირის თავიცა ხარ-მეთქი?! გინდ პოლიცია იყავი, გინდ დეპარტამენტი, რას ჩამომცქერი მეთქი! ვეეუბნები:

—ჩქარა იქით დამეკარგე, თორემ ხომ ხედავ ამ ნაკურთხს ცხვრის თავს მეთქი, მუშტი ვაჩვენე...

—როგორ შაგიძლიანო, მე ნაჩალნიკმა მიბრძანა, ესე უნდა გიყუროთო! ერთი პარუსკობს ეს იმერელი, ერთი პარუსკობს, რომ ყურები წაიღო!..

ახლა შენ მითხარი, ძმაო ჯან, რა უნდა ვუყო: ერთი ქრისტიანულათ დავადო ფათრეთში, დაიყვირებს და მთელი ბათალიონი დაგეხვევა; მერე ვინ იცის, რას დაგაბრალებენ! არ დავადო და რა ვქნა! ბაეგიჭდი რაღა! ქაცო! რკინის გული ხომ არა მაქვს: ეს ოხერი და ტიალი მეც კაცი არა ვარ?!

ავდექი, რას ვიზამ, მოვმორდი!..

ღვთის რისხვა არ არის, კაცმა ძმა ბიჭის მოწერილი დეპეში ვერ წაიკითხოს ისე, რომ ხელიდამ არ გამოგლიჯონ?!

მე შენა გთხოვ, ჩაჭყაპეჯან, ეს ჩემი ამბავი საქვეყნოთ გამაცხადო, და თუ მეორეთ ამისთანა სლუჩი იქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგყავდათ რამდენიმე ცნობა ზემოხსენებული ჭიის გაწყვეტის შესახებ. იმ ცნობებს ურიგო არ იქნება, ვგონებ, დაუმატოთ შემდეგი ცნობაცა, რომელიც მე ერთი რუსული წიგნიდგან გადმოვთარგმნე:

„ჩადგი ხნულში ოკიოდე თიხის ქილა, ერთი-ერთმანეთიდგან თანასწორ სიმორეზე, რვა, ან ათ დუიმის სიღრმეზე; თვითეულ მათგანში ჩაასხი ოციდამ ოც-და-ათ გოგირდის პურის (ბალზამის) წვეთამდე და დახურე ისინი ფიცრებით, რომ მათში მიწა არ ჩაცვიდეს. სუნი ამ ბალზამისა იმდენად მომწყვლელი და, უსათუოდ, მავნებელია პურის მავნებელ ბუზანკალებისთვის, რომ ისინი იმ ყანას იმწამსვე თავს დაანებებენ და ყველანი განმორდებიან.

V.

„დროების“ კორრესპონდენცია

—

სიღნაღი, 10 ივლისს. როდესაც კაცს რამე გულის წადილი აუსრულდება, ყოველთვის დიდის სიამოვნებით მზათ არის თავის სიხარული სხვებსაც განუწილადოს. მეც დიდი-ხანია მსურდა მენახა ჩვენი მშვენიერი და მდიდარი ქახეთი. აჰ უკანასკნელად შემთხვევა მომეცა და მოვხდი ქახეთის ერთს კუთხეში. ბავემგზავრე სიღნაღისკენ, ე. ი. ქიზიყის დედა-ქალაქისკენ.

ბნაზე რაც სტანციებზე უსიამოვნობა გამოვიარე, ამაზე აღარ ღირს ბაასი, რადგან ამ უკანასკნელად ბევრი არის ნათქვამი. მარტო ორ-სამ ფაქტს მოვიყვან, თუ რამდენი ურიგობაა ფოჩტის შემნახავისაგან და ფოჩტის უმფროსები ამ ურიგობას როგორ ბეცავ თვალით უყურებენ.

აქედგან კარგს ამინდში მესამე დღეზე ძლივს მიგვიყვანეს: ყველგან უცხენობა და უიამშიკობაა. ერთი აქიმი მოვიდა ცოლით ორხევის სტანციაში და სტაროსტამ უთხრა: „ცხენები არის, მაგრამ იამშიკები ორი გვაკლიაო და დაბრძანდით სტანციაშიო.“ ერთი აფიცერი სტაროსტის და იამშიკის პასუხმა ისე გაავჯავრეს, რომ დამბაჩა ამოიღო და ესროლა. ქარგი კიდევ, რომ კედელს მოხვდა და სტაროსტა გადაურჩა განსაცდელს...

როგორ გგონიათ დიდი უსვინიდისობა არ არის ფოჩტის შემნახავის და მათ უმფროსისაგან, რომ ამ ნაირად ინახვენ ფოჩტებს მაშინ, როდესაც შესანახს ფასს ერთი-ორად აძლევენ? წარმოიდგინეთ, თითო ტროიკაში ოთხმოც თუმანს იღებენ და ორს სტანციაში კი ას-ას თუმნათ არის გაცემული; პრაგონიც ხომ ცალკეა.

ბადვიდეთ ეხლა უფრო სასიამოვნო ამბებზე: გადახედეთ ამ ტრიალ მინდვრებს, თითქო აღელვებული ზღვა იყოსო, სად მთა, სად ბარი, სად მშვენივრად ყანებით ამწვანებულა; ზოგან ქერი შემოსული და ვათეთრებული ტალღების ქაფსა ჰგავს. მგონი კახელები შეხვედრიან ასეთს უხვს მოსავალს? უბედურობას რომ ბედნიერება მოსდევს, ეს ბედნიერება ერთი ათად უფრო სასიამოვნოა. ეხლაც ესეა: შარშანდელს შიმშილს, გვალვას და კალიას რომ ეხლა ერთი უხვი წელიწადი მოჰყვა, ყველა გავლილი უბედურობა დაავიწყა. დიდის სიამოვნებით ვამბობ, რომ ჩვენმა ადმინისტრაციამ დიდი მხნეობა გამოიჩინა ამ კალიის გაწყვეტაში და საუკუნოდ დაიმკვიდრა ჩვენ მხარეს კეთილი სახელი. იმას გლეხი არ თანაუგრძნობდა, იძახდა: კალია ღვთისგან არის ჩვენი ცოდვის სასყიდლად მოვლენილი და ვერ უწინააღმდეგებთ მის განაჩენსაო. მაგრამ ესენი ზოგს სიტყვით, ზოგს ძალით აღვიძებდნენ და ამუშავებდენ თავიანთვე კეთილდღეობისთვის.

ძრიელ უხეიროთ იქცეოდნენ მღვდლები: როცა ხალხს კალია ღვთის სასჯელად მიაჩნდათ და როცა ესენი ეწინააღმდეგებოდნენ ამის გაწყვეტას, რომ ამით არ შეურაცყონ ღმერთი, მაშინ არც ერთმა მღვდელმა ხმა არ ამოიღო, არ ჩაგონა, რომ ამ ნაირი სჯა ცრუ-მორწმუნოება არის. ამათ ხალხის გამწურთნელები და კეთილ მაგალითის მიმცემი მწყესები ვერ გამოიჩინეს, ზოგიერთ მღვდელს ქელეხში პირველი ადგილი უჭირავს და როდესაც კი საჭირო არის, რომელიმე უბედურების დროს გულადათ ჯვარი ხელში დაიჭიროს, ხალხს წინ-წაუძღვეს და ისე შეხვდეს ამ უბედურებას, მაშინ გაქრება, დაიმალება და ამის ხსენებაც არ არის.

სიღნაღში გახლავსთ ერთი მაღალმაღალი მღვდელი, სახით კიდევ ყმაწვილი; რა გგონიათ, ამის უმთავრესი საქმე და დროს გატარება როგორია? იქნება იფიქროთ, ლოცვაში, ქადაგებაში, კეთილ საქმეში და სხვა ამ გვარებში ატარებდეს დროს? არა, სულაც არა, ...

ეს კლუბი ზოგიერთისთვის ... რედ სარჩოდ გამხდარა, ჩაიგდებენ ვისმე გადაყრუებულს, გონება დაკარგულ ჭოხუცს, შემოუსხდებიან და ფცქვნიან. ამ ხელობას უფრო იქაური სომხობა და, მომეტებულად, ყმაწვილ-კაცობა ადგია.

ორიოდ სიტყვას აქაურ სომხებზედაც გეტყვით: ამათი საქმე სწორედ წასულია, ყმაწვილ-კაცობა არაფერ საქმეს არ ადგია და არც არაფერი მომზადება აქვსთ, რომელსამე ხელობას დაადგნენ; ვინც გამოქნილია, ადვოკატობს. აღრე ამ სომხებს ყველა ადვილად, წყაროსავით მოსდიოდათ. ლეკთან ომიანობის დროს ვაჭრობდნენ, ერთი-ორად იგებდნენ; შემდეგ ფულებს გაასესხებდნენ თავად-აზნაურობაში და გლეხებში საშინელის სარგებლით; ამ სარგებელს იღებდნენ ღვინითა და პურითა, მეოთხედ ფასათ. ესეც ეხლა ველარ გასდისთ: გლეხებს ზოგან გაუჩნდათ თავიანთი ბანკები და ზოგმა ისე გაიკეთა საქმე, რომ ნელ-ნელა ხელიდამ ეცლებიან ამ სისხლის მწუწნავ წურბელას.

ღმერთმა უშველოს აქაურს მომრიგე მოსამართლეს, გლეხებს იძახიან: ეს სწორედ ღმერთმა რაღაც მადლისთვის გამოგვიგზანაო; ამან ჩაგონა ხალხს, რომ უმაღლესი ბძანება არის გლეხის მამული, ესე იგი ვენახი და მიწა ვერ გაიყიდება ვალშიო. ამ გამოცხადებით ღმერთმა შენ მტერს გაუშროს სისხლი, როგორც აქაურ სომხებს გაეშრო და რამდენი თხოვნაც იყო შეტანილი, რომ გაეყიდნათ აღსასრულებელის ფურცლით მამული,

---

ნება, მაშინ მე ვიცი: ამოვიდებ ქვეშ, ვინც უნდა იყოს ასე დავბუბნი, როგორც ფუტკარ ნაჭამი დათვი! მგონია, ზიარება ვერ-კი მაასწრონ! რაც მამივა, მამივა!

ეს კიდევ არაფერი; წიგნის კითხვას ვინა ჩივის, სულ რომ ნიბას არ გვაძლევენ, რომ ბაღში ვიგულაოთ?! ჰუზურში რას ამბობენ:—ჩოხა და ჩუსტები გაცვიაო! ვაი! ჩოხა და ჩუსტები რომ მაცვია, კარგი ბიჭი არა ვარ? მაშ სადაური ჯანდაბური უნდა ჩავიცო? ჩვენი კაცი ღმერთს ესე გაუჩენია და ესეც უნდა ეცოს! ეს სადაური მიზეზია? ვის წინ გადადიან მალაყს; ვის?!

პოლიციმეისტარს გამოუცხადებია: ჩვენი დესეტნიკები „ჯიბგირებს“ იცნობენო და იმიტომ არ უშვებენ ბაღშიო! მაშ მეც „ჯიბგირი“ ვყოფილვარ რაღა, რომ არ შამიშვეს?? ვაი დედი ჩემის ღმერთს! პატიოსანი კაცი ვიღა არის ქვეყანაზედ? ვისაც სერთუკი აცვია, ჰა? ჰაიდა ჰა, გათავდა რაღა! ჩვენი კაცისთანა ჰალალი ლუკმით ვინა ცხოვრობს! დილიდან საღამომდინ სიცხეში და სიცივეში ათ ფუთიან თაბახ დავათრევ, რა არის, არავინ დამაყვედროს და ჰალალი ლუკმა ეჭამო მეთქი!... ფული უნდა მოვიპარო რაღა? მაშ ბიჭუას სიყმე მოკვდეს . . . . . მოვიდეს, ვისაც უნდა, ფულში ჩავფლა! ღმერთს ჯანი მოუცია, ფულიცა მაქვს და კეთილ ლუკმასაც ვჭამ!

მართლა ჯიბგირიც რომ ვიყო და სერთუკი ჩავიცო, პატიოსანი ვიქნები რაღა?! ვაი თქვენი ჭკუის ძაფების ბრალი! სერთუკი ჩავიცო რაღა! უუუჰ! იმის ფათერეთს კი რა უთხრა, ვინც პირველათ მაუდს მაკრატელი დაუსო, სერთუკის ფორმა გამოვიყვანოვო!.. იმას ჩავიცომ?!

მაგითია რაღა ჩვენი კაცი „ჯიბგირი“, რომ სერთუკი არ აცვიათ?! . . . . . რაც ჩემისთანა საწყალი კაცებისაგან ფულები ჩაუჩხრიალებიათ, იმტელი ჯამაგირი თავის დღეში მიულიათ?.. ესეც გაიგეთ და!... ხუთ მაურიანი ქალალდი რომ დაგვიწერონ, ოცდახუთ მანეთს გვთხოვენ!... რას იზამ, რომ არ მისცემ?! ეს პატიოსნება არის? ჯიბიდან ამოცლა არ არის?.. „ჯიბგირობა“ ამას არ ჰქვიან?! „ჯიბგირი“ დაიჭირე? სული ამაართვი, ტყავი გააძრე!

მეც რომ იმათ ანგარიშში მაგდებ, რათა, ძმაოჯან? რისთვინაო? მომასწარი სადმე? დაგიჭერიავ ჯიბგირობაში? შუბლზედ მაწერია?... მაშ რა იცი, რომ „ჯიბგირის“ სახელს მარქმევ?! მაშ ვინც ჩოხიანი და ჩუსტებიანი შეგხვდეს, წაავლე ყველას ხელი, „ჯიბგირი“ ხართქო? შეე ტიმოთე! შეგ როგორ შაიძლება?! ქაცის გარჩევა იცოდეთ და!... მახლას, ჰუზურში ესეა, რა ვქნა!...

ახლა პირი რომ გავაღო და ყველა ვთქო, იტყვიან, ბიჭუა ფინთი ჯელი ყოფილაო! მაშ დავჩუმდები, რა გაწყობა!!

ამას კი გეხვეწები ჩაჭყაპე-ჯან, გენაცვალე მაგ კოკობ სულში, რომ ეს ჩემი ამბები ქვეყანას შაატყობინო!... ყარაჩუდელი გიჟუა.

ახალი ამბები

ბუშინ ერთს ჩინოვნიკს სდომებია მწყრებზედ სანადიროთ წასვლა; მაგრამ ცოლს ნება არ მიუცია. ამდგარა ეს ჩინოვნიკი და გაჯავრებულს თავის საკუთარი მწყრები დაუხოცია, ე. ი. შუბლში რევოლვერი მიურტყაეს!

*

ჩვენ გვითხრეს, რომ ქ. ბორის „უპრავის“ წევრები საშინლად გაჯავრებულნი არიანო და ფარნებით ეძებენო, ვილაც კორრესპონდენტი გამოჩენილა და ჩვენზედ ცილის წამებასა სწერსო: ჩვენ ყოველთვის „არტალები“ მოგვდიოდა ხოლმეო და ის კი ტყუილად „სუკებსა“ სწერსო!...

*

ბორიდანვე გვწერს „ბზიკის“ კორრესპოდენტი: თქვენი გაზეთის სამი ნომერი არ მომსელიაო და ვისმეს გამოატანეო, თუნდა ჩვენი მაზრის უფროსს ბატონსაო: ერთი სიტყვით მე ყველა მიცნობს, ვისაც გამოატან, მომიტანონო. *)

განცხადება.

მაჰანი და ძმანი, აგრეთვე ერდგული ყმანი ახლად გარდაცვალებულის, ... განსვენებულის გაზეთის „აბეზარისა“ ითხოვენ ხელის-მომწერთა უდროოთ მიძინებულისა, რათა მობრძანდნენ დაბახანაში მარიამობის 27 სა-სამეორმოცე რიგის გარდასახდელათ, რის შემდგომად შეუძლიანთ, შავები გამოიცვალონ.

(3—1)

ამ მოკლე ხანში გამოვა ქართული გაზეთი „ჟანდელი“ ზოგიერთებმა ახლავ დაიწყეს მახვილობა, რომ ჩემს გაზეთს თავში „ქანდელი“ ეწერებაო, ბოლოში „სკანდელი“ და შუაში კი „სკანდალი“ იქნებაო. მტრის ენაა, არ დაუჯეროთ.

პარიჟიდამ დავიბარებ სურათებს. ხელის-მომწერი პირველ წელიწადსვე 4,000 მეყოლება. თუ ესე ვერ მოვახერხე, მაშინ გაზეთისათვის სურათებს აქ ამოვაჭრევინებ (ტომსონს) და ეხლის-მომწერლებს კი პარიჟიდამ დავიბარებ. (10—1)

რედაქტორი ჯ. გამომცემელი ჩაჭყაჭე.

*) რეაქციის შენიშნვა. „ბზიკის“ სიპატარავემ ნება არ მოგვცა, რომ ამ №-ში “ფელეტონიც“ დაგვებეჭდა. უკანასკნელს ცალკე მოგართმეეთ.

ჩაჭყაჭე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველას უარი უთხრა. მალე მიხვდნენ გლეხებიც, ეს ამბავი გავრცელდა თელავის მაზრაშიაც...

ივლიტელი.

უცხოეთი

წვრილი ამბები. კელნის გაზეთში დაბეჭდილია პარიჟიდამ მიღებული ტელეგრამმა, რომლის ავტორი აგვიწერს 25 ივლისს **როშფორისათვის** გამართულს მეჯლისს ამ ნაირად:

„დარბაზი (ბელვილში), რომელშიაც დღეს გამართული იყო **როშფორისათვის** კონცერტი და სადილი, პირველ საათზე სულ გატენილი იყო ხალხითა, მათ შორის ბევრი ქალები და ბლუზებიანი მუშები იყვნენ. **რაკი** როშფორი მოვიდა, ერთ-ხმათ დაჰსძახეს: „**ბაუმარჯოს** **როშფორს!** **ბაუმარჯოს** **რესპუბლიკას!**“ ** კომუნის** ყოფილ წევრის შვილმა, **რანვიემ**, სიტყვა წარმოსთქვა. **როშფორის** პასუხის შემდეგ იმღერეს სიმღერა. **მჭევრმეტყველმა** **ქასსიომ** თავის სიტყვაში გადაჰკრა **ბამბეტას**, რომლის გამო საზოგადოების ერთმა წილმა დასძახა: „**ბაუმარჯოს** **ბამბეტას!**“ და მეორემ: „**ძირს** **ბამბეტა!** **დაიკარგონ** **ბამბეტის** **მომხრენი!**“ **შეიქნა** **საშინელი** ყვირილი, რომელსაც მხოლოდ „**მარსელიეზის**“ **დაკვრით** **მოუსპო** **ორკესტრმა** **ბოლო**. **შემდეგ** **ულაპარაკნია** **ქლოვის** **ბუგს** **რწმენის** **თავისუფლებაზე**. „**როშფორი** **გააუქმებს** **ოპორტუნისტობასო**“ (ე. ი. „**სათანამედროვე**“ **პოლიტიკის** **მიმდევართ**, **რომელთ** **მეთაური** **ბამბეტაა**), **უთქვამს** **ბუგს**.

როგორც **სჩანდა**, **ამბობს** **დასასრულს** **კორრესპონდენტი**, **საზოგადოება** **იმ** **აზრის** **დარჩა**, **რომ** **როშფორი** **ვერ** **გამოდგება** **დასის** **მოთავეთო**“.

—

პორტას **წინადადება** **წარუდგენია** **უმთავრეს** **სახელმწიფოებისთვის**, **რომ** **ხელ** **ახლავ** **მოვიწვევ** **სტამბოლში** **კონფერენციას** **საბერძნეთის** **საზღვრის** **თაობაზედაო**. **ეს** **წინადადება** **არ** **მიუღიათ** **სახელმწიფოებს**, **თუმც** **ჰერმანია** **და** **ავსტრია** **კი** **თანახმანი** **ყოფილ** **არიან**.

—

ოსმალეთის **ფლოტის** **ადმირალი** **ინგლისელი** **ბობარტ-ფაშა** **დღემდის** **ინგლისის** **სამსახურშიაც** **ითვლებოდა**. **ახლა** **გლადსტონის** **სამინისტროს** **წინადადება** **მიუცია** **მისთვის** **რომ** **ამ** **ცოტა** **ხანში** **მიატოვოს** **ოსმალოს** **სამსახური**, **და** **თუ** **არა** **ინგლისის** **სამსახურიდამ** **გამოიცვლები** **და** **ყველა** **დამსახურებულ** **უფლებას** **დაჰკარგავო**.

—

ლონდონიდამ **გოდოსს** **სწერენ**, **რომ** **სახელმწიფოები** **მალე** **მიჰმართავენო** **პორტას** **ახალის** **ნოტით**, **რომელიც** **ჩერნოგორიის** **საზღვრის** **თაობაზედ** **იქნება** **დაწერილი**.

—

ინგლისურს **გაზეთში**, „*Itanetard*“-ს **აცნობებენ** **რომ** **მალე** **საფრანგეთის** **მმართველობა** **იმ** **რიგ** **გადაწყვეტილებას** **დაადგენსო**, **რომ** **მითი** **დამტკიცდება** **თუ** **რა** **საშიში** **მიმართულება** **აქვსო** **გლადსტონის** **პოლიტიკასო**.

—

თექვსმეტ **ივლისს** **ალბანიელები** **თავს** **დასხმიათ** **ჩერნოგორიელებს** **და** **უკუ** **დაუხევიათ**.

—

გოდოსში **დაბეჭდილია** **სტამბოლიდამ** **მიღებული** **კორრესპონდენცია** **სომხების** **პატრიოტობაზე** **და** **იმ** **ღვაწლზე**, **რომელსაც** **სწევენ** **ყოველ** **წოდების** **სომხის** **პატრიოტები**. **სხვათა** **შორის** **ამ** **კორრესპონდენციაში** **თქმულია**:

„**ამ** **ნაირად**, **საგვარტომო** **თავისუფლების** **შოვისათვის** **იღვწის** **ალმოსავლეთის** **უწარჩინებულესი** (?) **სამი** **მილიონოვანი** **ხალხი**: **ყველა** **ხელად** **ქონებული** **ძალ-ღონე**, **სასულიერო** **და** **მატერიალური** **ძალ-ღონე** **ამ** **მიზნისკენაა** **მიმართული**. **ძალებმაც** **კი** **შეჰკრიბეს** **მარტო** **სტამბოლში** **ამ** **უკანასკნელ** **შიმშილობის** **დროს** 400,000 **მანეთი**.

განცხადებანი

მოელს **ქვეყანაში** **გამოჩენილი** **და** **ყველასგან** **სძალებული** **წამალი** **ნაოფლარისა**, **რომელიც** (**ნაოფლარი**) **სიცხისაგან** **გაჩნდება** **ხოლმე**, **განსაკუთრებით** **ხშირათ** **ფეხის** **თითებს** **შუა**,

გალმანინი

(Гальманинъ)

ისყიდება **ავთიაქებში** **და** **ავთიაკის** **წამლების** **მაღაზიაში** **ევროპის** **ყველა** **დიდ** **ქალაქებში**. **მთავარი** **დეპო** **ამ** **წამლისა** **არის** **ფარმაციის** **მაგისტრის** **ვ. კარპინსკის** **ავთიაკში** **ქ. ვარშავაში**, **ელექტორალის** **ქუჩაზე**, № 35.

დიდი **კარობკა** **გალმანინისა** **ვარშავაში** 50 **კაპ.** **ღირს**, **პატარა**—30 **კაპ.**

უნდა **გაუფრთხილდეთ**, **რომ** **ყალბი** **გალმანინი** **არ** **შემოგატყუონ**.

ვ. კარპინსკი.

(25—17)

მურაბა **გემრიელი**, **კანფეტები** **ყველი**, **მაგნეზია** **შერბეთი** **წყურვილისათვის**. **ჭურჭლეული**, **ჩაინიკები** **გრაფინები** **და** **სხვ.** **და** **სხვ.** 25% **უფრო** **იაფად**, **ვიდრე** **სხვაგან** **სადმე** **ისყიდება** **ინგლისის** **მაღაზიაში**.

კარბოლის **პარაშოკი**, **კარბოლის** **წყალი** **და** **საპონი** **გადამდებ** **ავათმყოფობისათვის**, **მზის** **საათები** **დროების** **საჩვენებლად**—**ფასი** 1 **მან.**—**ინგლისი** **მაღაზიაში**.

(40—26)

პარუსინა, **ბუმაზეია**, **ტრიკო**, **დრაპი**, **ხავერდი** **მებელისა** **და** **ფაეტონებისათვის**, **უნაგირები**, **ფოჩტის** **ქალალდი** **და** **სხვ.** 30% **უფრო** **იაფად**, **ვიდრე** **სხვაგან** **სადმე**, **ისყიდება** **ინგლისის** **მაღაზიაში**.

პატენტიანი **შჩოტკები**

თმებისათვის 1 **მ.** 50-**დამ** **და** **ცხვნებისათვის** 1 **მ.** 75-**დამ**; **ყვავილები** **სახურავებით** 2 **მანეთიდამ**; **სარძეგვ** 30 **კაპ.**; **რუმკები** 5 **კ.**-**დამ**; **ფილტრები** (**წყლის** **დასაწმენდი**) 3 **მ**-**დამ** **და** **ვედრები** 1 **მან**-**დამ**; **თეფშები** 2 **მ**-**დამ** **ინიდუკ**; **შოკოლადის** **კანფეტები** 20 **კ**-**დამ** **თითო** **ფუთი** **და** **სხვ.** **ინგლისურს** **მაღაზიაში**.

(100—30)

შენიშვნა

რადგან **მოელს** **ქვეყანაში** **გამოჩენილი** **და** **მიღებული** **წამალი**.

თმის **გასამაგრებელი**

მაკ - მასტერი

ერთობ **ბევრი** **ისყიდება**, **თმის** **გაძლა** **ინგლისის** **მაღაზიაში** **ეს** **წამალი** **ხლა** 2 **მანეთად** **ღირს**.

(100—21)

წამოსასხმელი! **წამოსასხმელი!** **წამოსასხმელი!!**

ინგლისის **მაღაზიაში** 3 **მანეთად** 25 **კაპეიკად**!

წინდები **და** **ჩულქები** **დუქინი** 2 **მანეთიდამ**!

(30—25)

ვტოვებ **ტყის** **ეაჭრობასა** **და** **ამის** **გამო**, **რადგან** **კიდევ** **დარჩა** **გაუსაღებელი** 5,000 **კარგი** **მშრალი** **ფიცარი** **ფიჭვისა** **და** **ნაძვისა** 1½ **ვერშოკიდამ** 1 **დიუმამდინ** (**გოჯამდინ**) **სისქით**, **ვყიდი** **ამ** **ტყეს** **მასალას** **და** **ვისაც** **ჰსურს** **შეუძლიან** **მიმართოს** **პოლკოვნიკს** **ბუჭყიევს**, **ალსენალის** **ქუჩაზე**, **სახლის** № 31.

თუ **მსურველი** **აღმოჩნდება** **და** **ყველა** **ამ** **მასალას** **ერთად** **იყიდის**, **თითო** **ფიცარზე** 5% **დაუთმობ**.

აქვე **იყიდება** **გერცკალური** **ხეების** **გადასატანად**.

(3—3).

დაბოლოებული

დაყიდვა

ამ **თვის** **ბოლომდის** **ინგლისის** **მაღაზიაში**, **არწრუნის** **ქარგასლაში**. **ჩულქები**, **წინდები**, **ცხვირ-სახოცები**, **პარუსინები**, **სურათები**, **დუხები**, **თოფები**, **რევოლვერები**, **კლიტენი**, **ხერხები**, **დანები**. **კოვზები**, **სამწყურვალო** **ციტრატ** **მაგნეზიები** **და** **სხ.** **იყიდება** **ეხლა** 25% **და** 50% **უფრო** **იაფად** **ვიდრე** **სხვაგან** **არის**.

(10—10)

ი ე ი დ ე ბ ა

ახალი **წიგნი**

საშწვრლო,

თაიგული

გამოცემული **ილია** **ჭეონიასაგან**.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

I. **ბაბუას** **თხოვნა** (**ლექსი**) **მ.** **ფაზელისა** **II** **უბედური** **შემთხვევა** (**ამბავი**) **ჭ**—**სა.** **III** **ჩემს** **სურათებზე** (**ორი** **ლექსი**) **მ.** **ფაზელისა.** **IV** **მ...** **სადმი** (**ლექსი**) **ბ**—**სა.** **V.** **ფერი** **ფერს**—**მადლი** **ღმერთს** **სამ** **მოქმედებიანი** **კომედია** **ცვლილ.** **თარგმ.** **ალექსი** **ჭიკინაძისაგან.** **VI** **ჩვეული** **ხვედრა**-**სადმი** (**ლექსი**) **რაფ.** **მრისთვისა.** **VII** **ხასიათის** **გაგლენა**, **სამუელ** **სმაილსისა** **VIII** **უკითხავი** **ბასუხი** (**ლექსი**) **ნ.** **დ**—**სა.** **IX** **ახალი** **მოგლინება** **ჩვენს** **ლიტერატურაში.** **X** **მტარვალებს** (**ლექსი**) **აკაკისა.**

ტფილისში, **ჩარკვიანის** **წიგნის** **და** **აზნაურობის** **მაღაზიაში** **ბოლოვინის** **პროსპექტზე** **და** „**არარატის**“ **წიგნის** **მაღაზიაში** **მიხაილოვის** **ხიდთან**.

ქუთაისში **პ. ფ.** **ბერარდის** **წიგნის** **მაღაზიაში**.

ფასი **თითო** **წიგნისა** **ათი** **შაური**, **გაგზავნით** **სხვა** **ქალაქებში** **სამი** **აბაზი**.

კანტორა

ოდესსის **ვაჭრის**

იაგ. ზალინოვის

(**ადრესი**: **ოდესსა**, **ალექსანდროვის** **პროსპექტი**, **ფიშერის** **სახლი**)

ჭეიდულობს **და** **ჭეიდის**, **კომისიით** **ყოველ** **გვარ** **საქონელსა**.

აგენტურა **სხვა**-**და**-**სხვა** **საქონლის** **გასასაღებელად**.

წარმამოდგენელია **რუსის** **და** **სამზღვარ** **გარეთის** **ფაბრიკებისა**, **ქარხნებისა** **და** **სავაჭრო** **სახლებისა**.

აქვე **ნარდით** **ჭეიდის** **და** **ჭეიდულობს**, **აგრეთვე** **კომისიის** **ფქვილს**, **საწვრიმალო** **და** **კოლონიალურ** **საქონელს**.

(30—23)

Дозволено цензурою. Тифлисъ 26 Іюля 1880 г. Типографія Меликова. **გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი**